შემოსავლების
სამსახური

ბრძანება N 21497

28/07/2020

საქონლის საბაჟო ღირებულების კონტროლის პროცედურული სახელმძღვანელოს დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბაჟო კოდექსის მე-12 მუხლის მე-4 ნაწილის, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სარამრთლის იურიდიული პირის - შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ და „უ“ ქვეპუნქტების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს „საქონლის საბაჟო ღირებულების კონტროლის პროცედურული სახელმძღვანელო“ თანდართული რედაქციით.
2. ამ ბრძანებით დამტკიცებული პროცედურული სახელმძღვანელო ამოქმედდეს 2021 წლის 1 იანვრიდან.
3. საგადასახადო და საბაჟო მეთოდოლოგიის დეპარტამენტმა და საბაჟო დეპარტამენტმა უზრუნველყონ საბაჟო ღირებულების კონტროლის განმახორციელებელი მებაჟე ოფიცრების გადამზადება 2021 წლის 1 იანვრამდე.
4. საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრმა და საგადასახადო და საბაჟო მეთოდოლოგიის დეპარტამენტმა უზრუნველყონ გადასახადების ადმინისტრირების საინფორმაციო სისტემაში, სახელმძღვანელოთი დადგენილი შეტყობინებების ფორმების ასახვა 2021 წლის 1 იანვრამდე.

ლევან კაკავა

სამსახურის უფროსი